საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოაკიმიდი ლუკა ალექსანდრეს ძე

იოაკიმიდი ლუკა ალექსანდრეს ძე (22. VI. 1909, თბილისი, – 1992, კრასნოდარის მხარე, რუსეთი), სპორტსმენი (წყალბურთი), მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი (1956). საქართვ. მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. სსრკ მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი (1967–70).

XX ს. 40–70-იან წლებში იყო საქართვ. მოცურავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი. თბილ. „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის მეკარე და მთ. მწვრთნელი (1949–52). მისი აღზრდილები არიან პ. მშვენიერაძე, ნ. გვახარია.